განათლების მართვის
საინფორმაციო სისტემა
თბილისი, 0160, ფანჯიკიძის ქ. 1ა
ელ. ფოსტა: info@emis.ge
ტელ.: +995 322 200220

EDUCATION MANAGEMENT
INFORMATION SYSTEM
1a Panjikidze st, 0160, Tbilisi, Georgia
E-mail: info@emis.ge
Phone: +995 322 200220

MES 0 14 00147202

14/03/2014

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს

მის.: 0162 ქ. თბილისი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5

გიგზავნით, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2014 წლის 7 მარტის N1.2/422 ბრძანების ასლს - „**სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად - გიგა ზედანიას უფლებამოსილების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში რეგისტრაციის შესახებ**".

დანართი: 1 ფურცლად.

პატივისცემით,

სსიპ განათლების მართვის
საინფორმაციო სისტემის უფროსი

ვერულავა ლაშა

სსიპ ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტი
შემოვიდა 19/03/14 02-2877/14

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1.2/422

ქ. თბილისი 07.03.2014 წ.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად - გიგა ზედანიას უფლებამოსილების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში რეგისტრაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 1 თებერვლის „სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელთა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთა, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერთა რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ №22/ნ ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის პროფესიულ კოლეჯ “აიტის” რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ” №229/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. **სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად 2014 წლის 24 მარტიდან** რეგისტრაციაში გატარდეს - **გიგა ზედანია (პირადი №01008010287).**
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირის უფლებამოსილება წარმოშობილად ჩაითვალოს შესაბამისი კოლეგიური ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.
3. დაევალოს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს, აღნიშნული ინფორმაციის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში რეგისტრაცია.
4. დაევალოს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მთავარ სპეციალისტს, ანგი ხუციშვილს ამ ბრძანების დაინტერესებული პირისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
6. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6) კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 20 თებერვლის N01-1007 კორესპონდენცია (სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრაციის №MES 11400092998; 20.02.2014) კორესპონდენცია.

უფროსი ლაშა ვერულავა

სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსი

ბრძანება

ქ.თბილისი

N 1.2/141

08.02.2016 წ.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად (კანცლერი) - ქეთევან ლაკირბაიას უფლებამოსილების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში რეგისტრაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 1 თებერვლის „სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელთა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთა, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერთა რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ" №22/ნ ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის და მე-5 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის პროფესიულ კოლეჯ "აიტის" რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" №229/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ვ" ქვეპუნქტის და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად (კანცლერი) რეგისტრაციაში გატარდეს - ქეთევან ლაკირბაია (პირადი №01030010545).
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირის უფლებამოსილება წარმოშობილად ჩაითვალოს შესაბამისი კოლეგიური ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.
3. დაევალოს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს, აღნიშნული ინფორმაციის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში რეგისტრაცია.
4. დაევალოს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს, ამ ბრძანების დაინტერესებული პირისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
6. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6) კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2016 წლის 01 თებერვლის N35/362 კორესპონდენცია (სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრაციის №MES 3 16 00082917; 02.02.2016).

უფროსი ლაშა ვერულავა